

**ბრუნვითა სისტემის სწავლებისათვის
საჯარო სკოლაში
TEACHING CASE SYSTEM
IN PUBLIC SCHOOL**

იამზე ვაშაკიძე

კავკასიის უნივერსიტეტი
თბილისი, საქართველო

Iamze Vashakidze

Caucasus University
Tbilisi, Georgia

ABSTRACT

In parallel with the developing modern technologies, it becomes increasingly important to produce textbooks that are based on logical approaches. Our goal is to develop such "standardized rules of the declension of nominals that will facilitate both analysis and synthesis of word forms of nominals in modern Georgian".

The article deals with the issue of teaching the case system of Georgian by taking into consideration the 5th- and 7th-grade textbooks written by different authors using different approaches. In the available textbooks, Georgian cases are taught separately from the so-called postpositional forms of cases; this prevents the pupils from having a systemic understanding of the material. The origin of the problem should be sought in the definition of the category of case and the confusion of diachronic and synchronic aspects in textbooks: the history of the development of the grammatical phenomenon is one thing, the current state of it is another.

The article deals with the classification of the case system in Georgian on the synchronic level based on logical rules – the approach is a particular novelty in terms of the methodology of teaching the case system of the Georgian language. The basic postulates are as follows:

1. The term "case" is defined as the morphological category of nominals, within the scope of which the formative suffix adds the grammatical function to a wordform (leaving the lexical meaning unchanged);

2. The case is a combination of a noun stem and a case marker;

3. The case marker may be simple (-ს [-s], -ის [-is], -ით[-it], ად[-ad], etc.) or complex//compound (-სში [-sši] "in", -ისგან [-isgan] "from (anim.)", -იდან [-idan] / -დან [-dan] from (inanimate), -ამდე [-amde] / -მდე [-mde] "up to", etc.).

According to the classification on the synchronic level, three logically differentiated types of cases are identified in the Georgian language:

1. a simple case: nominal stem + simple case marker (დედა-ს [deda-s] "mother/to mother", ქვეყნ-ად [kveqnad] "on the earth");

2. a complex (compound) case: nominal stem + complex (compound) case marker (ლომ-ივით [lomi-vit] “like a lion”, ხე-სთან [he-stan] “at the tree”); a complex case marker is constructed by merging a simple case marker with a postposition and expresses additional grammatical or semantic nuances;

3. a case with a postposition: nominal stem + simple case marker + separate auxiliary word //postposition (კაც-ის მიერ / გამო [kac-is mier/gamo] “by / because of a man”).

The proposed approach will simplify the process of learning and understanding the paradigm of the noun in a systemic way, on the one hand, and will assist in developing the software for machine translation, on the other hand.

საკვანძო სიტყვები: ქართული ენა, ბრუნვათა სისტემა, რთული და მარტივი ბრუნვები, თანდებულიანი ბრუნვები.

Keywords: Georgian language, case system, simple and complex cases, cases with postpositions.

თანამედროვე ტექნოლოგიების განვითარების პარალელურად, დღის წესრიგში დგება ლოგიკურ მიდგომებზე ორიენტირებული სახელმძღვანელოების შექმნა. ჩვენს „ქართული ენის პრაქტიკულ კურსში“ (2019), რომელიც მომზადდა პროფ. ტარიელ ფუტკარაძის თეორიული დებულებების საფუძველზე, შევეცადეთ გარკვეული სიახლეები შეგვეტანა **ქართული ენის ბრუნვათა სისტემის სწავლების მეთოდოლოგიის** თვალსაზრისით, რამდენადაც ჩვენი მიზანია „სახელთა ბრუნების ამსახველი ისეთი ნორმალიზებული წესების შემუშავება, რომელთა მეშვეობითაც მარტივად იქნება შესაძლებელი თანამედროვე ქართული ენის სახელის სიტყვაფორმათა სინთეზი და ანალიზი“ (ფუტკარაძე... 2015: 213). წარმოდგენილ სტატიაში ქართული ენის ბრუნვათა სისტემის სწავლების საკითხს განვიხილავთ სხვადასხვა ავტორთა ჯგუფის მიერ მე-5 და მე-7 კლასებისათვის შექმნილი ქართული ენის სახელმძღვანელოების მიდგომებთან შეპირისპირებით (არაბული... 2018: 81, 89-90; არაბული... 2019: 16, 46-48; გორდელაძე... 2018: 13).

აქვე შევნიშნავთ: თვალის ერთი შევლებაც საკმარისია იმაში დასარწმუნებლად, რომ ქართული ენის სახელმძღვანელოთა ერთი და იმავე წლის სხვადასხვა გამოცემაში პროგრამით გათვალისწინებული საკითხები ერთმანეთს არ თანხვდება, მაგ., დ. ანფიმიადის, ზ. გაბიჩვაძისა და ივ. ამირხანაშვილის მე-7 კლასის ქართული ენის სახელმძღვანელოში (2019) ძირითადი შესწავლის ობიექტია ზმნა, როცა ა. არაბულისა და ნ. ნაკუდაშვილის ამავე კლასის მოსწავლის წიგნში მეტყველების ნაწილებიდან მხოლოდ სახელები ისწავლება. არსებულ სასკოლო სახელმძღვანელოებში ქართული ენის ბრუნვები და ე.წ. თანდებულიანი ბრუნვები ერთმანეთისაგან მოწყვეტით ისწავლება (იხ. მაგ., არაბული... 2018: 81-82; 89-90; არაბული... 2019: 17, 47). ასეთი მიდგომა, ბუნებრივია, ხელს უშლის მოსწავლეებს შესასწავლი მასალის სიღრმისეულად და

სისტემურად გააზრებაში. აქვე მინდა გავიხსენო ერთი გონებამახვილი მოსწავლის შეკითხვა: „ბრუნვა ხომ შვიდია ქართულში, თანდებულიანი ბრუნვები რაღაა?!“

პრობლემის სათავე უნდა ვეძიოთ **ბრუნვის კატეგორიის განმარტებასა** და სახელმძღვანელოებში **დიაქრონიული და სინქრონიული ასპექტების აღრევაში**: ერთია გრამატიკული მოვლენის განვითარების ისტორია (რომელიც თავისთავად საინტერესოა, მაგრამ მხოლოდ სპეციალისტთა კვლევის სფეროდ უნდა მოიაზრებოდეს), მეორე კი – გრამატიკული მოვლენის თანამედროვე სახე. საჯარო სკოლის მოსწავლესა თუ უცხოელს ენა უნდა ვასწავლოთ სინქრონიული მონაცემების მიხედვით დაწერილი გრამატიკით.

ბრუნვათა რაოდენობის საკითხი სადავოა ენათმეცნიერებაში. კერძოდ, წოდებითს ბრუნვად არ მიიჩნევენ არნ. ჩიქობავა, ვ. თოფურია და სხვები, რამდენადაც წოდებითში მდგარ სახელს სინტაქსური ურთიერთობის დამყარება არ შეუძლია ზმნასთან და წოდებითის ნიშანიც სხვა ბრუნვის ნიშნებისაგან განსხვავებული წარმომავლობისა – შორისდებულისგან მომდინარეობს (ჩიქობავა 1952: 267-268; თოფურია 1956: 36-47). გ. ნებიერიძე წოდებითს სახელობითის ვარიანტად განიხილავს და არა – დამოუკიდებელ ბრუნვად (ნებიერიძე 1986: 255-256). ა. შანიძე წოდებითს ტოვებს ბრუნვათა რიგში (შანიძე 1981: 466-472); მის აზრს იზიარებენ: ლ. კვაჭაძე, ალ. ონიანი, თ. უთურგაძე, ლ. ნოზაძე და სხვ.

სამეცნიერო ლიტერატურაში ასევე საკამათოა ე.წ. თანდებულიანი ბრუნვების საკითხი. ა. შანიძემ, ზოგი სხვა წინამორბედი გრამატიკოსის კვალად (მ. ბროსე), ძირითადი ბრუნვების გვერდით გამოყო რამდენიმე ლოკალური ბრუნვა (სადაობითი, გამოსვლითი და მიწვევითი), მაგრამ ღიად დარჩა სხვა ანალოგიური ბრუნვის ფორმების საკითხი.

წინასწარვე აღვნიშნავთ, რომ ქართულ გრამატიკებში „თანდებული“ ბუნდოვანი ცნებაა: ზოგ შემთხვევაში თანდებულად ითვლება ზმნისართი, ზოგ შემთხვევაში – წინდებულის მსგავსი მონაცემი / დამხმარე სიტყვა, სხვა შემთხვევაში კი – სიტყვაფორმაში შემავალი სეგმენტიც, რომელიც არაფრით განსხვავდება სხვა აფიქსებისაგან. ჩვენი აზრით:

I. მორფემა, რომელიც მსაზღვრელის გარეშე გვხვდება წინადადებაში, თანდებულად ვერ ჩაითვლება; შდრ.:

სახლთან ახლოს დგას – **ახლოს** დგას; **სახლის წინ** მიდის – **წინ** მიდის...

II. მორფემა, რომელმაც დაკარგა დამოუკიდებელი ლექსიკური მნიშვნელობა, ფორმაწარმოების უნარი, არ დასტურდება არსებითი სახელის გარეშე, მაგრამ შენარჩუნებული აქვს საკუთარი მახვილი, მისაჩნევია **საკუთრივ თანდებულად**; ასეთებია, მაგ.: **გარდა, შუა, გამო, მიერ** თანდებულები;

III. მორფემა, რომელმაც დაკარგა დამოუკიდებელი ლექსიკური მნიშვნელობაც, ფორმაწარმოების უნარიც, მახვილიც და საბოლოოდ მიუერთდა რომელიმე ერთი ბრუნვის ნიშანს, ჩასათვლელია **ფორმაწარმოებელ აფიქსად** (დაწვრილებით იხ. ფუტკარაძე 1986: 133-139).

თუ ამოვალთ ბრუნვის განმარტებიდან, რომლის მიხედვითაც ბრუნვის მორფოლოგიური კატეგორია გულისხმობს სახელის ფორმაწარმოებას, ე.წ. თანდებულიან ბრუნვებს ვერ განვიხილავთ ერთი დონის მონაცემებად, კერძოდ, ცალკე მდგომი თანდებული (მიერ, გამო...) სხვა რანგის მორფემაა, ხოლო სახელურ ფორმაზე (ფუძე + ბრუნვის ნიშანი) მირთული თანდებული (-გან, -კენ...) – სხვა.

წინდებულების მსგავსად, თანდებულად უნდა განვიხილოთ ის მორფემა, რომელიც ცალკე დგას (= დამხმარე სიტყვა). ასეთი მიდგომა გამართლებულია **ცნებისა და ტერმინის ადეკვატურობის** თვალსაზრისითაც; შდრ.: „თან დებული“ = „მასთან ერთად არსებული“ და არა „მის ნაწილად ქცეული“. მაგ., **სახლამდე** არის ერთი სიტყვაფორმა, **-ამდე** სეგმენტს ვერ განვიხილავთ დამხმარე სიტყვად, მაშინ როცა **კაცის მიერ** მოცემულობა ნამდვილად ორი სიტყვაა. სკოლაში სწავლებისას უნდა ავხსნათ, რომ **მიერ** დამხმარე სიტყვაა, ე.ი. თანდებულია. **-ამდე** ცალკე არ დგას, სიტყვის ნაწილია, შესაბამისად, მისი კვალიფიკაცია უნდა მოხდეს, როგორც აფიქსის, რამდენადაც ის არც დამხმარე სიტყვაა და არც ფუძის კუთვნილება.

-ამდე /-მდე, როგორც აფიქსი, არ არის სიტყვამაწარმოებელი; ეს იქიდანაც ჩანს, რომ მასა და სახელურ ფუძეს შორის შეიძლება ადგილი დაიკავოს I რანგის სუფიქსმა – მრავლობითობის **-ებ** მაწარმოებელმა, შდრ.: **სახლ-ამდე – სახლ-ებ-ამდე**. ლოგიკურად რჩება ერთადერთი გამოსავალი, რომ დავასკვნათ, **-ამდე /-მდე** არის ერთიანი ფორმამაწარმოებელი სუფიქსი, რომელსაც აქვს კონკრეტული სემანტიკა – მიწვევითობის გამოხატვა. თანდებული და ბრუნვის ნიშანი ორ სხვადასხვა აფიქსად რომ დავსახოთ, უნდა ვლინდებოდეს ორი ფუნქცია; მაგ., „კაცებს“ ფორმაში **კაც-** არის ფუძე, **-ებ** გამოხატავს მრავლობით რიცხვს, **-ი** კი არის ბრუნვის ნიშანი; შდრ.: „კაცივით“ ფორმაში **კაც-** არის ფუძე, **-ივით** კი ერთიანად გამოხატავს მსგავსებას. **-ივით** აგებულებით არის რთული ბრუნვის ნიშანი, მაგრამ აქვს ერთი ფუნქცია.

რთული ბრუნვის ნიშნების ჩამოყალიბებასთან დაკავშირებით, ა. შანიძე წერს: „ფონეტიკური ფაქტორის ზეგავლენით, **ით-გან**-ისგან მიღებული **იდან** დღეს უკვე განუყოფელი აფიქსია. ეს აფიქსი იმავე რიგებში დგას, რაშიც ბრუნვის ნიშნები, ამიტომ ასეთი დასკვნა გამომდინარეობს: **იდან** დღეს ბრუნვის მაწარმოებელია. ეს ბრუნვაა გამოსვლითი... გამოსვლითი ბრუნვის ნიშანია **იდან** ან **დან**“ (შანიძე 1983: 74).

ვფიქრობთ, ფონეტიკური პროცესი მეორეხარისხოვანია. ასევე, აგლუტინაციურ ენაში არსებითი არ უნდა იყოს ზმნასთან სინტაქსური კავშირის საფუძველი, რადგან ბრუნვის ნიშანი კავშირს ამყარებს სახელებს შორისაც; ასევე, რიგ შემთხვევებში ბრუნვის ნიშანი სიტყვას დამატებით გრამატიკულ ან სემანტიკურ მნიშვნელობას სძენს, მაგრამ ვერ ცვლის ლექსიკურ მნიშვნელობას.

ბრუნვათა გამოყოფის პრინციპი ერთგვაროვანი და ლოგიკური უნდა იყოს. რაც მთავარია, გასააზრებელია, რომ **-ივით /-სავით, -იდან** თუ **-ისკენ** სეგმენტებს აქვთ ერთი კონკრეტული ფუნქცია (მაგ., გამოსვლითობა, ასევე:

მსგავსება, თანაობა და სხვ.); ამ რთულ სეგმენტებში ვერ ვილაპარაკებთ ორი მორფემის ორ ფუნქციაზე; მაგ., ნათესაობითის **-ის**- წარმოშობით კუთვნილების / ნათესაობის გამომხატველი აფიქსია, ხოლო **-თვის** „თავის“ / თავი სახელის ისტორიული ტრანსფორმაციით არის მიღებული, ეს ხელს არ უშლის, რომ სინქრონიულ დონეზე **-ისთვის** ერთიანი მორფემა დანიშნულების გამომხატველ ფორმამაწარმოებელ ელემენტად ჩავთვალოთ.

საკითხის ამგვარად გადაწყვეტისაკენ გვიბიძგებს უცხოელებისათვის ქართული ენის **ფუნქციური გრამატიკის** სწავლების გამოცდილებაც, კერძოდ, უცხოელს ვასწავლით, რომ, მაგ., გამოსვლითობა იწარმოება სახელის ფუძეზე **-დან / -იდან** მორფემების დართვით, მიწვევითობა – **-მდე / -ამდე** მორფემების დართვით და სხვ. ერთი ფუნქციით გაერთიანებულ აფიქსთა წარმომავლობის ისტორია ამ შემთხვევაში არ განიხილება და არც არის სინქრონიულ დონეზე ამის საჭიროება.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, სწავლების კუთხით მიზან-შეწონილად მიგვაჩნია:

I. მოსწავლეებს ვასწავლოთ **სინქრონიულ დონეზე** ბრუნვის კატეგორიის განმსაზღვრელი ძირითადი პრინციპები, კერძოდ:

- ბრუნვა განიმარტება როგორც სახელის მორფოლოგიური კატეგორია, რომლის ფარგლებში ფორმაწარმოებით სუფიქსს სიტყვის ფორმაში შეაქვს გრამატიკული ფუნქცია (არ ცვლის ლექსიკურ მნიშვნელობას);

- ბრუნვა წარმოადგენს სახელის ფუძისა და ბრუნვის ნიშნის კომბინაციას;

- ბრუნვის ნიშანი შეიძლება იყოს მარტივი (-ს, -ის, -ით, -ად...) ან რთული // შედგენილი (-სში, -ისგან, -იდან / -დან, -ამდე / -მდე...);

II. ბრუნვათა სისტემაში გამოიყოს ბრუნვათა **ლოგიკურად გამიჯნული სამგვარი ტიპი**:

1. მარტივი ბრუნვა: **სახელის ფუძე + მარტივი ბრუნვის ნიშანი** (დედა-ს, ქვეყნ-ად);

2. რთული¹ (შედგენილი) ბრუნვა: **სახელის ფუძე + რთული (შედგენილი) ბრუნვის ნიშანი** (ლომ-ივით, ხე-სთან); რთული ბრუნვის ნიშანი მიღებულია მარტივი ბრუნვის ნიშანთან თანდებულის შერწყმით და გამოხატავს დამატებით გრამატიკულ თუ სემანტიკურ ნიუანსებს;

3. თანდებულიანი ბრუნვა: **სახელის ფუძე + მარტივი ბრუნვის ნიშანი + ცალკე მდგომი დამხმარე სიტყვა // თანდებული** (კაც-ის მიერ / გამო).

სინქრონიულ დონეზე ბრუნვათა სისტემის ლოგიკური წესებით კლასიფიკაცია, ერთი მხრივ, გაუადვილებს მოსწავლეებს სახელის პარადიგმის სისტემურად შესწავლასა და გააზრებას, ხოლო მეორე მხრივ, ხელს შეუწყობს მანქანური თარგმანების კომპიუტერული პროგრამის შექმნას (იხ. სქემა).

¹ 2016 წელს გამოცემულ სახელმძღვანელოში გამოვიყენეთ ტერმინოლოგიური შესიტყვება - თანდებულშერწყმული ბრუნვები, რომელიც 2019 წლის გამოცემაში შევცვალეთ უფრო მოქნილი შესიტყვისით - რთული ბრუნვები (ლოგიკურია ტერმინოლოგიური ანტონიმია: მარტივი – რთული).

მარტივი,² რთული და თანდებულიანი ბრუნვის ფორმები

მარტივი ბრუნვები		
სახელობითი	ფუძე + -ი / 0	კაც-ი / ოქრო
მოთხრობითი	ფუძე + -მა / -მ	კაც-მა / ოქრო-მ
მიცემითი	ფუძე + -ს	კაც-ს / ოქრო-ს
ნათესაობითი	ფუძე + -ის /-ს(ი) ²	კაც-ის / ოქრო-ს(ი)
მოქმედებითი	ფუძე + -ით / -თ(ი)	კაც-ით / ოქროთ(ი)
ვითარებითი	ფუძე + -ად / -დ	კაც-ად / ოქრო-დ
წოდებითი	ფუძე + -ო / -ვ / -0	კაც-ო / ოქრო

რთული ბრუნვები		
მსგავსება	ა) ფუძე + -ივით/-სავით	კაც-ივით/კაც-სავით, ოქრო-სავით ³
	ბ) ფუძე + -ისებრ/-სებრ/-ებრ	კაც-ისებრ, ოქრო-სებრ, ჩემ-ებრ
ზედმყოფობა	ფუძე + ზე/ სზე	კაც-ზე, ოქრო-ზე; მასზე
შიგნითმყოფობა	ფუძე + ში / სში	კაც-ში, ოქრო-ში; მასში
თანაობა	ფუძე + -თან /-სთან	კაც-თან, ოქრო-სთან
თანადროულობა	ფუძე + -ისთანავე	წასვლა: წასვლ-ისთანავე
მიმართულება	ფუძე + -ისკენ/-სკენ /-კენ	კაც-ისკენ, ოქრო-სკენ, ჩემ-კენ
დაწყებითობა	ფუძე + -ისგან /-სგან /-გან	კაც-ისგან, ოქრო-სგან; ჩემ-გან
გამოსვლითობა	ფუძე + -იდან /-დან	კაც-იდან, ოქრო-დან
მიწევნილობა	ფუძე + -ამდე /-მდე ⁴	კაც-ამდე, ჩემ-ამდე, ოქრო-მდე
თანხლება	ფუძე + -ითურთ/-თურთ	კაც-ითურთ, *ოქრო-თურთ

² -ის აფიქსი, ასევე, გვევლინება სიტყვამაწარმოებლად; მაგ.: მეშინია ძაღლის; აქ -ის ბრუნვის ნიშანია; ხე - ხ-ის დაპირისპირებაში კი -ის არის სიტყვამაწარმოებელი (თ. უთურგაძე).

³ -ივით და -სავით ერთი რთული ბრუნვის ნიშნის სახესხვაობებია (ალომორფებია): პირველი გამოიყენება თანხმოდანფუძიან სახელებთან, მეორე – ხმოდანფუძიანებთან. გაუმართლებელია პირველის მიჩნევა თანდებულიან სახელობითად, მეორისა კი – თანდებულიან მიცემითად, რადგანაც ორივე ერთ გრამატიკულ შინაარსს გამოხატავს; გარდა ამისა, ორივე შემთხვევაში მსაზღვრელი იქნება „ამ“ (შდრ.: ეს კაცი – ამ კაცივით; ეს გოგო – ამ გოგოსავით), რაც გამორიცხავს ფუძე + ივით ყალიბის სახელობითად მიჩნევას; ისტორიულად, ორივე ფორმა მომდინარეობს თანდებულიანი ნათესაობითისაგან: **კაცისა ვით.**

⁴ ფუძე + -ამდე / -მდე-ს პარალელური ვარიანტია: ფუძე + -ამდის /-მდის (სახლ-ამდის, ტყე-მდის), რომელიც თანამედროვე სალიტერატურო ქართულში, ფაქტობრივად, არ გამოიყენება.

თანდებულიანი ბრუნვები		
მიცემითი	ფუძე + ს + შუა / შორის	ორ ზღვა-ს შუა / შორის
	ფუძე + ს + გარდა / უკან / გაღმა / იქით / წინათ / შემდეგ	(გაქვავებული ფორმები) ამას გარდა / წინათ მას უკან / შემდეგ ზურგს უკან, ხევს გაღმა ცხრა მთას იქით
ნათესაობითი	ფუძე + ის + მიერ / გამო / მიმართ / შესახებ / გარდა / მაგიერ / ნაცვლად	კაც-ის მიერ / გამო / მიმართ / შესახებ / გარდა / მაგიერ / ნაცვლად
	ფუძე + ის + ზმნიზება თანდ. მნიშვნელობით: წინ / უკან / მერე / შემდეგ / ზევით // ზემოთ / ქვევით // ქვემოთ / გვერდით / გასწვრივ / აქეთ/იქით / პირას/ირგვლივ/ახლოს/ შორიახლოს / მსგავსად / წინააღმდეგ...	სახლ-ის წინ / უკან / მერე / შემდეგ / ზევით // ზემოთ / ქვევით // ქვემოთ / გვერდით / გასწვრივ / აქეთ / იქით / პირას / ირგვლივ / ახლოს / შორიახლოს / მსგავსად / წინააღმდეგ...

დამოწმებული ლიტერატურა და წყაროები

ანფიმიადი... 2019: ანფიმიადი დ., გაბიჩვაძე ზ., ამირხანაშვილი ივ., ქართული ენა. მე-7 კლასი. თბილისი, 2019.

არაბული... 2018: არაბული ა., ნაკუდაშვილი ნ., ქართული ენა. მე-5 კლასი. მოსწავლის წიგნი, „სწავლანი“, 2018. <https://www.calameo.com/read/005630120ed8938fa35ae> დამოწმება: 31.10.2020.

არაბული... 2019: არაბული ა., ნაკუდაშვილი ნ., ქართული ენა. მე-7 კლასი, მოსწავლის წიგნი, „სწავლანი“, 2019. <https://en.calameo.com/read/005630120f2cb3740a603> დამოწმება: 31.10.2020.

გორდელაძე... 2018: გორდელაძე ნ., კუხიანიძე თ., ქართული ენა. მე-5 კლასი, მოსწავლის წიგნი. თბილისი, 2018.

თოფურია 1956: თოფურია ვ., წოდებითი ბრუნვისათვის. სახელის ბრუნების ისტორიისათვის ქართველურ ენებში, I. თბილისი, 1956.

ნებიერიძე 1986: ნებიერიძე გ., წოდებითი ბრუნვა ქართულში, როგორც სახელობითის ვარიანტი. თსუ შრომები, 267, თბილისი, 1986.

ფუტკარაძე 1986: ფუტკარაძე ტ., სახელის მრავლობითი რიცხვის წარმოება სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს დიალექტთა (აჭარულის, გურულის, მესხურ-ჯავახურის, იმერხეულის) მიხედვით. მაცნე, ენისა და ლიტერატურის სერია. 1986, N3, გვ. 133-139.

ფუტკარაძე... 2015: ფუტკარაძე ტ., ვაშაკიძე ი., ქართული ენა, სალექციო კურსი. თბილისი, 2015.

ფუტკარაძე... 2019: ფუტკარაძე ტ., ვაშაკიძე ი., ქართული ენის პრაქტიკული კურსი. თბილისი, 2019.

შანიძე 1981: შანიძე ა., თხზულებანი 12 ტომად, ტ. II. თბილისი, 1981.

შანიძე 1983: შანიძე ა., თხზულებანი 12 ტომად, ტ. III. თბილისი, 1980.

ჩიქობავა 1952: ჩიქობავა არნ., ენათმეცნიერების შესავალი. თბილისი, 1952.